



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო**  
**G E O R G I A**  
**MUNICIPALITY COUNCIL OF VANI**



ბრძანება: ბ65.65220261

თარიღი: 26/01/2022

**ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების მიერ  
 მოქალაქეთა მიღების დღეების განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის და 85-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების მიერ მოქალაქეთა მიღების დღეებად განისაზღვროს:
  - ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის (ალექსანდრე ლილუაშვილი) ყოველი კვირის ხუთშაბათი დღე დილის 10:00 საათიდან 16:00 საათამდე.
  - ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისათვის (გიორგი ივანიძე) ყოველი კვირის ორშაბათი დღე დილის 10:00 საათიდან 16:00 საათამდე.
  - გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილისათვის (დავით ხარძეიშვილი) ყოველი კვირის სამშაბათი დღე დილის 10:00 საათიდან 16:00 საათამდე.
  - დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილისათვის (შოთა გიორგაძე) ყოველი კვირის ოთხშაბათი დღე დილის 10:00 საათიდან 16:00 საათამდე.
  - ე) მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეებისათვის ყოველი კვირის პარასკევი დღე დილის 10:00 საათიდან 16:00 საათამდე.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების მიერ მოქალაქეთა მიღების დღეების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2020 წლის 18 აგვისტოს N27 28 ბრძანება.
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. №1).

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს  
 თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
 ელექტრონული ხელმოწერა/  
 ელექტრონული შტამპი

